



სს „ჯეოკაპიტალი“
ფინანსური აუდიტის დასკვნა

30.09.2019

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
განმარტებითი შენიშვნები	9
დასკვნის ბოლო გვერდი	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ჯეოკაპიტალი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება „ჯეოკაპიტალის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველის აზრად აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული აქვს მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან წლების შესაბამისად 2,138 ათასი და 1,351 ათასი ლარის ღირებულებით. აღნიშნული ოპერაციები კომპანიას დაკლასიფიცირებული აქვს, როგორც უკუიჯარის ტრანზაქციები. ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე აღნიშნული ოპერაციები შინაარსობრივად წარმოადგენენ ფინანსურ შეთანხმებას, ვიდრე მოთხოვნებს ფინანსური იჯარიდან და უნდა კლასიფიცირდეს, როგორც კლიენტებზე გაცემული სესხები. აქედან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული სესხების ღირებულება არის შემცირებული და ფინანსური იჯარებიდან მოთხოვნების ღირებულება კი გაზრდილი, შესაბამისად 2,138 ათასი და 1,351 ათასი ლარის ოდენობით. აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 16 აგვისტოს გასცა მოდიფიცირებული დასკვნა იგივე საფუძველით.

სხვა ინფორმაცია

მენეჯმენტი პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია შედგება ხელმძღვანელობის ანგარიშგებისგან, რომელიც მომზადებულია აღრიცხვის, რეპორტირებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუმცა, არ მოიცავს ამ ფინანსურ ინფორმაციასა და ჩვენს აუდიტის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ამ ფინანსურ ინფორმაციაზე არ ვრცელდება სხვა ინფორმაციაზე, მათ შორის, ხელმძღვანელობის ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს ზემოთ ხსენებული სხვა ინფორმაციის გაცნობას მას შემდეგ, რაც ეს ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის, და განხილვას, შესაძლებელია თუ არა, რომ ინფორმაცია იყოს მატერიალურად არასწორი ან არსებობს თუ არა მატერიალური შეუსაბამობა სხვა ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებებს ან აუდიტის ჩატარებისას ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას შორის.

ამასთან, ვალდებულები ვართ გამოვხატოთ მოსაზრება ხელმძღვანელობის ანგარიშგებაზე გარკვეული მუხლების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ და შევაფასოთ, რამდენად მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშგება აღრიცხვის, რეპორტირებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ხელმძღვანელობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ხელმძღვანელობის ანგარიშგებაში დართული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება იმავე წლის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციას; და
- ხელმძღვანელობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, რეპორტირებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას და შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

ხელმძღვანელობისა დამეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და

ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის

შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ლოიალტეს“ (Reg. # SARAS-F-256603) სახელით
მარინა აბულაძე (Reg. # SARAS-A-377251).

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შემდგომში მომავალი მოვლენების ან პირობების გაელენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვახთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ლოიალტეს“ (Reg. # SARAS-F-256603) სახელით
მარინა აბულაძე (Reg. # SARAS-A-377251).

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო



სს „ჯეოკაპიტალი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	31-დეკ-18	31-დეკ-17
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	2,431	2,945
კლიენტებზე გაცემული სესხები	5	3,035	5,110
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	6	2,138	1,351
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით		214	214
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	7	151	279
სხვა აქტივები	8	977	1,024
სულ აქტივები		8,946	10,923
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	6,324	7,951
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		31	31
სხვა ვალდებულება		59	61
სულ ვალდებულებები		6,414	8,043
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		669	669
გაუნაწილებელი მოგება		1,863	2,211
სულ კაპიტალი		2,532	2,880
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		8,946	10,923

ხელმომწერი პირი:

დირექტორი



30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

სს „ჯეოკაპიტალი“
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	10	2,903	4,853
საპროცენტო ხარჯი	10	(947)	(1,181)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		1,956	3,672
სესხის გაუფასურების ანარიცხი, წმინდა		(16)	(263)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ		1,940	3,409
მოსაკრებელი და საკომისიო შემოსავალი		112	41
ღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტებისგან		-	(92)
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილი წმინდა შემოსავალი		(104)	(170)
სხვა შემოსავალი		133	63
პერსონალის ხარჯი	10	(1,685)	(2,078)
სხვა ხარჯი	11	(844)	(958)
ცვეთა და ამორტიზაცია		(132)	(152)
მოგება დაბეგვრამდე		(580)	63
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(56)
საანგარიშგებო წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		(580)	7

ხელმომწერი პირი:

დირექტორი



30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

სს „ჯეოკაპიტალი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასი ლარი)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
31 დეკემბერი 2016	669	3,259	3,928
გადახდილი დივიდენდები	-	(1,055)	(1,055)
წლის სრული მოგება	-	7	7
31 დეკემბერი 2017	669	2,211	2,880
01 იანვარი 2018	669	2,211	2,880
ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი	-	232	232
01 იანვარი 2018 (გადაანგარიშებული)	669	2,443	3,112
Profit for the year	-	(580)	(580)
31 დეკემბერი 2018	669	1,863	2,532

ხელმოწერი პირი:

დირექტორი



30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

სს „ჯეოკაპიტალი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერი
(ათასი ლარი)

	2,018	2,017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(580)	63
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	132	152
საპროცენტო შემოსავალი	(2,903)	(4,853)
საპროცენტო ხარჯი	947	1,181
სესხების გაუფასურება	16	263
წმინდა ზარალი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული	-	92
ფინანსური ინსტრუმენტებისგან		
საკურსო სხვაობიდან წარმოშობილი მოგება (ზარალი), ნეტო	104	170
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	-	25
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებამდე	(2,284)	(2,907)
ცვლილებები:		
კლიენტებზე გაცემული სესხების ზრდა (შემცირება)	2,253	8,225
ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების ზრდა	(749)	(1,398)
მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ზრდა	-	(306)
სხვა აქტივების ზრდა	47	(146)
სხვა ვალდებულებების ზრდა (შემცირება)	(2)	(143)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები	(735)	3,325
მიღებული პროცენტი	2,903	4,872
გადახდილი პროცენტი	(947)	(1,433)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(305)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	1,221	6,459
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(4)	(60)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(4)	(60)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის მიღება	3,623	1,349
სესხის დაფარვა	(5,381)	(5,220)
გაცემული დივიდენდები	-	(1,056)
ფინანსური საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	(1,758)	(4,927)
წმინდა ფულადი სახსრების გაზრდა (შემცირება)	(541)	1,472
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	2,945	1,458
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	27	15
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	2,431	2,945

ხელმომწერი პირი:

დირექტორი



30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 9-16 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-4.

1. ძირითადი საქმიანობა

კომპანია და მისი საქმიანობა

სს „ჯეოკაპიტალი“ (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2011 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. 2014 წლის აგვისტოში კომპანია რეორგანიზებულ იქნა სააქციო საზოგადოებად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2017 წლის 23 ივნისამდე კომპანია მოღვაწეობდა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. 2017 წლის 23 ივნისს, კომპანიამ გააუქმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიცენზია და დაიწყო ფუნქციონირება, როგორც სს „ჯეოკაპიტალი“. თუმცა კომპანიამ გაარქმელა თავისი საქმიანობა, ძირითადად ფინანსური იჯარებისა და უზრუნველყოფილი სესხების გაცემით. კომპანია რეგისტრირებულია ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 412675528.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უზრუნველყოფილი სესხებისა და ფინანსური იჯარების გაცემა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქუთაისი, წერეთლის ქ. №5.

კომპანიას უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საბჭო. კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს აქციონერთა საბჭო. კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებს გენერალური დირექტორი, რომელიც დანიშნა სამეთვალყურეო საბჭომ. გენერალური დირექტორი ასევე არის კომპანიის აქციონერი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავდა შემდეგი აქციონერები:

აქციონერი:	წილი %
- მარკ მეო მალენი	30.0%
- რაღფ ოდელ ბურლესონი	23.1%
- ირმა სვანაძე	23.1%
- შპს „Caucasus Investments“	23.8%
სულ	100.0%

კომპანიის დაფინანსება უმეტესად ხორციელდება რამოდენიმე ფიზიკური პირისგან მიღებული სესხებით, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია დაკავშირებული მხარეების მიერ და ამ ჯგუფებზე ვრცელდება საკრედიტო რისკი. შედეგად კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია დაკავშირებულ მხარეებზე. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან დეტალურად აღწერილია 22-ე განმარტებით შენიშვნაში.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2018	31 დეკ 2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.0701	3.1044

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომელიც გაცემულია 2018 წლისთვის მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, გარდა სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც მოქმედმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. უფრო მეტიც ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ექვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით. ამიტომ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

თითოეული ბალანსის შედგენის დღეს კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ ინტრუმენტებს, როგორცაა სავაჭრო და გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები, დერივატივები და არაფინანსური აქტივები, როგორცაა საინვესტიციო ქონება.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება ითვალისწინებს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი აქტივის საუკეთესოდ და ეფექტურად გამოყენებით ან მისი ბაზრის სხვა მონაწილეებისთვის მიყიდვით, რომელიც გამოიყენებს ამ აქტივს ყველაზე ეფექტურად და საუკეთესოდ.

აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, აღნიშნული კატეგორიებია:

დონე 1 – კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის;

დონე 2 – მეთოდები, რომლითაც შესაძლებელია ყველა იმ ინფორმაციაზე დაკვირვება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგისტრირებულ სამართლიან ღირებულებაზე;

დონე 3 – შეფასების მეთოდი, რომლის ყველაზე ქვედა დონის მონაცემები, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, არ არის წარმოდგენილი.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისაა სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოძინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

ძირითადი საშუალებები

კომპანიის ყველა ძირითადი საშუალება აღრიცხულია, როგორც სხვაობა ისტორიულ ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას შორის. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია მათ შესყიდვასთან.

ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, თუ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს: შესაძლებელია ამ ხარჯების სანდო შეფასება და კომპანია ამ აქტივებიდან მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა სარემონტო ხარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯად სრული შემოსავლების შესახებ ანგარიშგებაში, მათი წარმოქმნის პერიოდში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. კომპანიას განსაზღვრული აქვს შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ავტომობილები	5
აპარატურა და მოწყობილობები	2-7
იჯარის გაუმჯობესება	საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად
არამატერიალური აქტივები	3-7

მიმდინარე ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალში თუ ისინი არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის მოთხოვნებს. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალურ აქტივებს სასარგებლო მომსახურების ვადებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი ცვლილება.

აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება აღდგენით ღირებულებამდე მაშინ, როდესაც მისი საბალანსო ღირებულება მეტია აღდგენით ღირებულებაზე. კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და წარმოდგენილია ძირითადად კომპიუტერული პროგრამის სახით.

შესყიდული კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების კაპიტალიზება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე რომლებიც საჭიროა მათ შესასყიდად და გამოსაყენებელ კონდიციამდე მისაყვანად. სხვა ხარჯები აღიარებდა პერიოდის ხარჯებად მათ წარმოქმნის პერიოდისათვის. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ოთხიდან ხუთ წლამდე.

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გაცხადებულია ანგარიშგების თარიღამდე ან თარიღით. დივიდენდები გაცხადებულია, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გაცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს ვიდრე მოხდება შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან

მესამე მხარეთა ოპერაციებთან (როგორებიცაა აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა ან გაყიდვა) დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან ან მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან მიღებული თანხები აღრიცხულია გარიგების დასრულებისას. გარიგებებთან დაკავშირებული გასამრჯელო ან გასამრჯელოს კომპონენტები, აღიარებულია შესაბამისი პირობების შესრულების შემდგომ. გასამრჯელო ან მისი კომპონენტები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ შესრულებასთან, აღიარებულია შესაბამისი კრიტერიუმების შესრულების შემდეგ.

პროცენტი და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამიზნული ან გასაყიდად არსებული საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომლითაც ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი დაფარვებისა და შემოსავლისა ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის თუ უფრო მოკლე პერიოდის მანძილზე, სადაც ეს შესაძლებელია, ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ზუსტი დისკონტირება. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას ან ზღვრულ ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ახალ საბალანსო ღირებულებაზე.

3. ახალი და შესწორებული სტანდარტების მიღება და საბუღალტრო პოლიტიკის ინტერპრეტაცია და ნებაყოფლობითი ცვლილებები

ფინანსური აღრიცხვის ახალი საერთაშორისო სტანდარტების მიღება. კომპანიამ მიიღო ფასს 9. აღნიშნული ახალი სტანდარტის დანერგვით გამოწვეული ცვლილების შინაარსი და ეფექტი აღწერილია ქვემოთ.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

შესავალი

2014 წლის ივლისში, ფასს-მა გამოსცა ფასს 9-ის ფინანსური ინსტრუმენტები – საბოლოო ვარიანტი, რომელმაც შეცვალა ბას 39-ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება და 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ წლიური პერიოდისთვის არსებული ყველა წინა ვერსია, ვადაზე ადრე გამოყენება დასაშვებია. კომპანიამ მიიღო ახალი სტანდარტი მისი ძალაში შესვლის თარიღიდან.

კლასიფიკაცია და შეფასება

კლასიფიკაციისა და შეფასების პერსპექტივიდან გამომდინარე ახალი სტანდარტი მოითხოვს, რომ ყველა ფინანსური აქტივი, გარდა წილობრივი ინსტრუმენტებისა და წარმოებულებისა, შეფასდეს საწარმოს ბიზნეს მოდელის კომბინაციის საფუძველზე საიმისოდ, რომ განხორციელდეს აქტივების და ინსტრუმენტების საკონტრაქტო ფულადი სახსრების ნაკადის მახასიათებლების მართვა. ბასს 39 შეფასების კატეგორიები ჩაენაცვლება სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის (FVPL) ფარგლებში, სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლის ფარგლებში (FVOCI) და ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9 ასევე საშუალებას აძლევს საწარმოებს საბოლოოდ განსაზღვრონ ინსტრუმენტები, რომლებიც აფასებენ ამორტიზებულ ღირებულებას ან სამართლიან ღირებულებას სხვა სრული შემოსავლის ინსტრუმენტების ფარგლებში როგორც FVPL, თუ ამის გაკეთება აღმოჩნდება ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების შეუსაბამობას. წილობრივი მონაწილეობის ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის გამიჯნული ვაჭრობისთვის, შეიძლება საბოლოოდ განსაზღვროს როგორც FVOCI, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოგების ან ზარალის შემდგომი რეკლასიფიკაციის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის წესი ძირითადად იქნება ისეთივე. როგორც იყო ბასს 39-ის მოთხოვნებში, გარდა იმ მოგების ან ზარალისა, რომელიც წარმოიქმნა FVPL-ს შესაბამისად განსაზღვრულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. ასეთი ცვლილებები წარმოდგენილი იქნება სხვა სრულ შემოსავალში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემდგომი რეკლასიფიკაციის გარეშე მანამ, სანამ სააღრიცხო შეუსაბამობა არ წარმოიქმნება მოგებას ან ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი მოგება ან ზარალის უწყისზე გამოწვეულია გაცემული სესხის აღიარებით სამართლიანი ღირებულებით მოგებას ან ზარალში, რომელიც აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით. ასევე ფასს 9-ზე გადასვლით შეიცვალა კომპანიის აქტივების კლასიფიკაცია გასაყიდად ფლობილი ფინანსური აქტივებიდან და ვადის გასვლამდე ფლობილი ფასიანი ქარაღებიდან გრძელვადიან ფინანსურ აქტივებში სამართლიანი ღირებულებით მოგებას ან ზარალში.

ფასს 9-ის მიღების შედეგად კომპანიას აქვს შემდეგი კლასიფიკაციები ფინანსური აქტივებისთვის 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

კლასიფიკაცია ბასს 39-ის მიხედვით	კლასიფიკაცია ფასს 9-ის მიხედვით
გაცემული სესხები	გაცემული სესხები
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები	ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებას ან ზარალში
ვადის გასვლამდე ფლობადი ფასიანი ქაღალდები	ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებას ან ზარალში

სს „ჯეოკაპიტალი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2017 წლის 31 დეკემბერი

(ათასი ლარი)

ფინანსური ინსტრუმენტების რეზერვის მოძრაობა (გაცემულ სესხებზე და ფინანსური იჯარის მოთხოვნებზე)

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	ჯამში
საწყისი ბალანსი ბასს 39-ის მიხედვით	-	-	-	1,970
ფასს 9-ით გამოწვეული ეფექტი	-	-	-	(232)
საწყისი ბალანსი ფასს 9-ის მიხედვით	-	684	1,055	1,738
გამოცემული ფინანსური ინსტრუმენტები	-	475	-	475
ტრანსფერი 1-ელ ეტაპზე	-	-	-	-
ტრანსფერი მე-2-ე ეტაპზე	-	-	-	-
ტრანსფერი მე-3-ე ეტაპზე	-	(1,372)	1,372	-
დაფარული ფინანსური ინსტრუმენტები	-	(193)	(35)	(228)
საკრედიტო რისკია ცვლილება	-	406	(463)	(56)
საბოლოო ბალანსი ფასს 9-ის მიხედვით	-	-	1,929	1,929

სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფასს 16 იჯარები

ფასს 16 გამოშვებულია 2016 წლის იანვარში, და მან შეცვალა: ბას 17 - იჯარები, IFRIC 4 განსაზღვრავს მოიცავს, თუ არა ეს შეთანხმება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარები - სტიმულირების ღონისძიებები და SIC-27 ოპერაციის არსის შეფასება, რომელიც მოიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. ფასს 9-ში განსაზღვრულია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციის და იჯარების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის პრინციპებს და მოითხოვს მოიჯარეებისგან, რომ ბალანსის შემდგომი ერთი მოდელის შესაბამისად ყველა იჯარა ბას 17 -ის შესაბამისად ფინანსური იჯარის აღრიცხვის მსგავსი იყოს. ეს სტანდარტი მოიცავს ორ აღიარებულ გამონაკლის მოიჯარეებთან დაკავშირებით - „დაბალ-ღირებულებიანი აქტივების იჯარები“ (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (ე.ი. იჯარები 12 თვით ან ნაკლები ვადით) და იჯარის დაწყების ვალდებულება, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას გადაიხადოს საიჯარო გადასახდელები (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივი, რომელიც წარმოადგენს უფლებას გამოუყენებელი იყოს განსაზღვრული აქტივი იჯარის ვადაში (ე.ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საპროცენტო დანახარჯი იჯარის ვალდებულებაზე და ცვეთის დანახარჯი აქტივის გამოყენების უფლებაზე.

მოიჯარეები ასევე ვალდებული არიან გადააფასონ იჯარის ვალდებულება გარკვეული მოვლენების წარმოქმნის შემდეგ (მაგ. ცვლილება იჯარის ვადაში, ცვლილება მომავალ საიჯარო გადახდებში, რომელიც გამოწვეულია ინდექსში და ამ გადახდების განსაზღვრაში გამოყენებულ განაკვეთში ცვლილებით. მოიჯარე ზოგადად აღიარებს იჯარის ვალდებულების გადაფასების თანხას აქტივის გამოყენების უფლების მქონე აქტივის კორექტირების სახით.

ფასს 16-ის შესაბამისად მეიჯარის საბუღალტრო აღრიცხვა არსებითად არ განსხვავდება ბას 17-ის შესაბამისად განხორციელებული დღევანდელი საბუღალტრო აღრიცხვისგან. მეიჯარეები გააგრძელებენ ყველა იჯარის კლასიფიკაციას იმავე კლასიფიკაციის პრინციპის გამოყენებით, რომელსაც იყენებს ბას 17 და განასხვავებენ იჯარის ტიპებს: საოპერაციო და ფინანსური იჯარები.

ფასს 16 ასევე მოითხოვს მოიჯარეებისგან და მეიჯარეებისგან უფრო ფართოდ წარმოადგინონ ინფორმაცია, ვიდრე ეს ხდებოდა ბას 17 -ის შესაბამისად.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდიდან ან შემდეგ. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენება, მაგრამ სანამ რომელიმე ორგანიზაცია გამოიყენებს ფასს 15-ს. მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს სტანდარტის გამოყენება სრული რეტროსპექტივის ან მოდიფიცირებული რეტროსპექტივის მეთოდის გამოყენებით. სტანდარტის გადაცემის დებულებები უშვებს გარკვეულ შეღავათებს.

სს „ჯეოკაპიტალი“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2017 წლის 31 დეკემბერი
(ათასი ლარი)

4. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-18	31-დეკ-17
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,842	2,577
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	589	366
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	-	2
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,431	2,945

5. კლიენტებზე გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
სამომხმარებლო სესხები ფიზიკურ პირებზე		
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	1,690	3,610
ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები	2,778	3,286
სხვა სამომხმარებლო სესხები	154	55
სულ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	4,622	6,951
გაუფასურების რეზერვი	(1,587)	(1,841)
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,035	5,110

გაცემული სესხები სახეობების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	საბალანსო ღირებულება
კლიენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული სამომხმარებლო სესხები:			
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	1,690	(179)	1,511
ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები	2,778	(1,333)	1,445
სხვა სამომხმარებლო სესხები	154	(75)	79
სულ კლიენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული სამომხმარებლო სესხები:	4,622	(1,587)	3,035

გაცემული სესხები სახეობების მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

	მთლიანი თანხა	გაუფასურების რეზერვი	საბალანსო ღირებულება
კლიენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული სამომხმარებლო სესხები:			
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	3,610	(237)	3,373
ავტომობილით უზრუნველყოფილი სესხები	3,286	(1,550)	1,736
სხვა სამომხმარებლო სესხები	55	(54)	1
სულ კლიენტ ფიზიკურ პირებზე გაცემული სამომხმარებლო სესხები:	6,951	(1,841)	5,110

სესხის პირობების გათვალისწინებით, ფასს 9 სტანდარტის მიღების შემდგომ, აღნიშნული სესხის საბალანსო ღირებულება აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

სს „ჯეოკაპიტალი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2017 წლის 31 დეკემბერი

(ათასი ლარი)

შესადარისი პერიოდისთვის ამ სესხის საბალანსო ღირებულება აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით.

ახალ სტანდარტზე გადასვლის მომენტში სხვაობა ამორტიზირებულ ღირებულებასა და სესხის სამართლიან ღირებულებას შორის გატარდა გაუნაწილებელ მოგებაზე. აღნიშნული ეფექტი გამოწვეულია ახალ სტანდარტზე გადასვლის შედეგად აღრიცხვის კატეგორიის ცვლილებით და არ არის დაკავშირებული მსესხებლის გადახდისუნარიანობასთან.

6. მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან

მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
მთლიანი მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	2,479	1,481
გაუფასურების რეზერვი	(341)	(130)
წმინდა მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	2,138	1,351

გაცემული სესხები სახეობების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

7. ძირითადი საშუალებები

	ავტომობილები	აპარატურა და მოწყობილობები	იჯარის გაუმჯობესება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ღირებულება					
31დეკ16	18	542	110	205	875
მატება	25	35	-	-	60
ჩამოწერა	(28)	(2)	(16)	-	(46)
31დეკ17	15	575	94	205	889
მატება	-	5	5	3	13
ჩამოწერა	-	(22)	(41)	-	(63)
31დეკ18	15	558	58	208	839
დაგროვილიცვეთა					
31დეკ16	6	283	77	114	480
ცვეთა	2	91	19	41	153
გასვლა	(7)	(3)	(13)	-	(23)
31დეკ17	1	371	83	155	610
ცვეთა	4	74	12	42	132
გასვლა	-	(17)	(37)	-	(54)
31დეკ18	5	428	58	197	688
ნარჩენიღირებულება					
31დეკ16	12	259	33	91	395
31დეკ17	14	204	11	50	279
31დეკ18	10	130	-	11	151

სს „ჯეოკაპიტალი“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2017 წლის 31 დეკემბერი
(ათასი ლარი)

8. სხვა აქტივები

სხვა აქტივები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ფინანსური აქტივები		
საგაჭრო მოთხოვნები	108	101
არაფინანსური აქტივები		
დასაკუთრებული აქტივები**	705	557
საგადასახადო აქტივები*	139	339
წინასწარ გადახდები	17	24
მასალები და აღჭურვილობა	8	3
სულ სხვა არაფინანსური აქტივები	977	1,024

*საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას ნეტო ღირებულებით.

**დასაკუთრებული აქტივები წარმოადგენს გაცემული სესხების უზრუნველსაყოფად ჩადებულ მოძრავ და უძრავ ქონებას, რომელიც დაისაკუთრა კომპანიამ.

9. სესხები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
სესხის ძირითადი თანხა ფიზიკური პირისგან	6,299	7,927
დარიცხული პროცენტი ფიზიკური პირისგან	25	24
სულ სესხები	6,324	7,951

10. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

წმინდა საპროცენტო შემოსავლები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	2,903	4,853
საპროცენტო ხარჯი	(947)	(1,181)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	1,956	3,672

11. პერსონალის ხარჯი

პერსონალის ხარჯი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018	2017
ხელფასი	1,488	1,840
ბონუსი	94	71
დაზღვევა	10	20
სხვა	93	147
სულ პერსონალის ხარჯი	1,685	2,078

12. სხვა ხარჯი

სხვა ხარჯები 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018	2017
ოპერაციული იჯარის ხარჯი	482	406
პროფესიონალური მომსახურება	173	115
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	42	32
რეკლამა და მარკეტინგი	30	30
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	25	106
საოფისე მარაგების ხარჯი	21	17
უსაფრთხოების ხარჯი	15	19
საწვავის ხარჯი	10	12
მივლინების ხარჯი	5	5
სასამართლოს ხარჯი	2	44
დასაკუთრებული უზრუნველყოფიდან მიღებული ზარალი	-	94
სხვა	73	78
სულ პერსონალის ხარჯი	878	958

13. რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეალური ღირებულებით აღრიცხულმა ფინანსურმა ინსტრუმენტებმა მოგებაში ან ზარალში ასახვით შეადგინა 230,973 ლარი.

კომპანია ადგილობრივ ბანკებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე იღებს დაფინანსებას ადგილობრივ ვალუტაში და გარანტიის სახით ამავე ბანკის დეპოზიტზე ათავსებს მიღებული თანხის შესაბამის თანხას უცხოურ ვალუტაში. ასეთი კონტრაქტები კლასიფიცირებულია, როგორც დერივატივები.

დასკვნა გამოტანილია შემდეგ ინდიკატორებზე დაფუძნებით:

- ისინი ერთდროულად და ერთმანეთის მიყოლებით შედიან ძალაში;
- ისინი რეგულირდება ერთი და იგივე გარიგებით;
- აქვთ ერთნაირი რისკი;
- არ არსებობს ცხადი ეკონომიკური საჭიროება ან არსებითი ბიზნეს მიზანი გარიგებების ცალკე სტრუქტურულიზაციისთვის, რომელიც ვერ ჩამოყალიბდება ერთ გარიგებაში;
- არსებობს თავდაპირველი წმინდა ინვესტიცია, რომელიც უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა სახის ინვესტიცია, რომელიც ანალოგიურად რეაგირებს მსგავს ცვლილებებზე საბაზრო ფაქტორებიდან და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე.

14. პოტენციური ვალდებულებები

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სარჩელებისა და პრეტენზიების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზე მაქსიმალური პასუხისმგებლობა არ იქონიებს არსებით გავლენას ფინანსურ მდგომარეობაზე ან კომპანიის მომავალ ოპერაციებზე.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის

ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არ წარმოშობს დამატებით საგადასახადო ვალდებულებას, გარდა იმისა, რაც კომპანიას უკვე აქვს აღიარებული და აღრიცხული.

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი;

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია ამ რისკების შესახებ მოცემულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო მთლიანობაში პასუხისმგებელია რისკების მართვის სტრუქტურისა და ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, ასევე რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებაზე, რომ უზრუნველყოს კომპანიის მიზნების და პოლიტიკის ეფექტური იმპლემენტაცია.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო პასუხს აგებს მონიტორინგის განხორციელებასა და რისკების შემამცირებელი ზომების მიღებაზე, ასევე კომპანიის საქმიანობის განსაზღვრული სარისკო პარამეტრების ფარგლებში მიმდინარეობის უზრუნველყოფაზე. გენერალური დირექტორი პასუხისმგებელია მთლიანი რისკის მართვისა და შესაბამისობის ფუნქციებზე, ასევე ფინანსური და არაფინანსური რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, მართვისა და ანგარიშგების კონკრეტული პრინციპების და მეთოდების განხორციელების უზრუნველყოფაზე. ის უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე არის ანგარიშვალდებული. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მიკრო სესხების გაცემაა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისო-ს რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები რაც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასაწივარლებლად.

პოლიტიკის მიხედვით, კომიტეტის წევრთა რაოდენობა განსაზღვრულია სასესიო განაცხადის სახეობისა და სიდიდის მიხედვით.

საკრედიტო კომიტეტი არის ანალიტიკური ორგანო, რომელსაც ევალება კომიტეტზე წარმოდგენილი სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაციის ანალიზი, საკრედიტო რისკების განსაზღვრა და მინიმუმამდე დაიყვანა. ის დამოუკიდებელია და წარმოადგენს მისო-ს ერთადერთ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება არსებული სესხის განაცხადის დაფინანსება/არდაფინანსების შესახებ.

კომიტეტზე წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია სესხის ოფიცერი, რომელიც კლიენტის ბიზნესის დეტალურად შესწავლისა და მისი საკრედიტო რისკის პირველადი შეფასების საფუძველზე ავსებს სასესიო განაცხადს. შედეგად, კომიტეტის წევრები კრიტერიუმების მიხედვით (კლიენტის საკრედიტო ისტორია; ფინანსური მდგომარეობა; ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ა.შ.) ქულებით აფასებენ სესხის განაცხადს.

საკრედიტო რისკის შემცირება ხდება ასევე სესხის, უძრავი ქონებით, ან სხვა მატერიალურად ფასეული ნივთით უზრუნველყოფის საფუძველზე.

კლიენტის გადახდისუნარიანობის ანალიზი, მისი ბიზნესის სრული მონიტორინგით, ფინანსური დანაკარგების რისკის დროულად თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა. მონიტორინგი ხორციელდება საკრედიტო ოფიცრის მიერ, რომელიც წარუდგენს ანგარიშს შედეგების შესახებ მენეჯმენტს. სესხების რეგულარულ მონიტორინგს ახორციელებს აგრეთვე სესხების ამომღები კომიტეტის მიერ. პოტენციურ რისკებზე დროული რეაგირებისათვის, მონიტორინგის შედეგები წარედგინება უმაღლეს მენეჯმენტს ყოველ თვითურად. მონიტორინგის სისტემა კომპანიას ეხმარება საკრედიტო რისკების სამართავად და დროული ნეიტრალიზებისათვის.

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
კლიენტებზე გაცემული სესხები	3,035	5,110
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	2,138	1,351
მიღებული სესხები	6,324	7,951
სხვა არაფინანსური აქტივები	977	1,024
სულ მაქსიმალური რისკის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები	12,474	15,436

16. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე მოქმედებს ცვლილებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებულ დონეებში. საპროცენტო მარჟა შესაძლოა გაიზარდოს ამგვარი ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა შემცირდეს კიდევ ან წარმოშვას ზარალი, თუ ადგილი ექნება მოულოდნელ მოძრაობებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის აქტივებსა და ვადლებულებებს, რომლებსაც ერიცხებათ პროცენტი. 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისათვის ისინი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

სს „ჯეოკაპიტალი“
შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2017 წლის 31 დეკემბერი
(ათასი ლარი)

	31-დეკ-18	31-დეკ-17
საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები	5,173	6,461
საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ვალდებულებები	6,324	7,951

ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივებისა და ვალდებულების ვადიანობის შესახებ მოცემულია ქვემოთ ლიკვიდობის რისკის ცხრილში.

კომპანია აკეთებს საპროცენტო განაკვეთის სენსიტიურობის ანალიზს.

კომპანიის ყველა საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივი და ვალდებულება არის ფიქსირებული განაკვეთის მქონე.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდობის რისკის გასაწესებლად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდობის ანალიზი მოცემული ქვემოთმოყვანილ ცხრილში. ქვემოთმოყვანილი ინფორმაცია დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე.

17. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მეწილეებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს მეწილეებისათვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი მეწილეებს, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოდგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) ა) ან ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოდგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივარ კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

სს „ჯეოკაპიტალი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2017 წლის 31 დეკემბერი

(ათასი ლარი)

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
მიღებული სესხი	1,939	5,575
	2018	2017
მენეჯმენტის ხელფასი	380	998

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რომლებიც უნდა გაშიფრულიყო ფინანსურ ანგარიშგებაში.

სს ჯეოკაპიტალი

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

1. საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა;

სს ჯეოკაპიტალს გააჩნია 8 წლიანი გამოცდილება და წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან საფინანსო კომპანიას არსებულ სექტორში დასავლეთ საქართველოს ბაზარზე, სადაც ოპერირებს 3 ქალაქში. კომპანია ემსახურება 1100-ზე მეტ მომხმარებელს და მართავს 7.1 მილიონი ლარის ოდენობის დივერსიფიცირებულ პორტფელს.

2018 წელს ძირითადი საქმიანობიდან კომპანიის შემოსავალმა შეადგინა 2,9 მილიონი ლარი (2017: 4,9 მილიონი ლარი). 2018 წლის წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 2 მილიონ ლარს რაც 47%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (2017: 3.7 მილიონი ლარი). 2018 წელს კომპანია გავიდა ზარალზე 580,080 ლარით (2017: 6,778 ლარი).

კომპანიამ მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რამაც ფაქტიური შედეგები იქონია ფინანსურ მაჩვენებლებზე. ამის ძირითადი გამომწვევი მიზეზები გახლავთ 2017 წლის დასაწყისიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ეტაპობრივად შემოღებული რეგულაციები. სასესხო პორტფელზე მყისიერი გავლენა მოახდინა დოლარში სესხის გაცემის აკრძალვის რეგულაციამ. კომპანია ფინანსდებოდა ამერიკული ინვესტიციებით დოლარის ვალუტაში და შესაბამისად სასესხო პორტფელის 99% შედგენდა დოლარში გაცემული სესხები.

2017 წლის დასაწყისიდან სს ჯეოკაპიტალმა აქტიურად დაიწყო რიგი ცვლილებების გატარება: მოიზიდა ინვესტიციები ეროვნულ ვალუტაში და დაიწყო სესხების გაცემა ლარში, ასევე მოახდინა პორტფელის დივერსიფიცირება ახალი პროდუქტის დაწერვით. აღნიშნული ცვლილებების გატარება გრძელდება დღემდე.

2. სუბიექტის განვითარების გეგმები;

ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემოღებული და დაგეგმილი რეგულაციებიდან გამომდინარე კომპანია ეძებს განვითარების ახალ გზებს. ამისთვის იდგმება კონკრეტული ნაბიჯები: აღარ გაიცემა იპოთეკით უზრუნველყოფილი გრძელვადიანი სესხები, იზღუდება ავტომობილით უზრუნველყოფილი სალომბარდე სესხების გაცემა და ხდება სალიზინგო მომსახურებაზე გადასვლა.

განიხილება ახალი პროფილის საქმიანობის დაწყება:

- პრობლემური აქტივების მართვის სერვისი;
- ავტომობილების იმპორტი ამერიკის შეერთებული შტატებიდან და მათი ლიზინგით გაცემა/რეალიზაცია;

- ჰიბრიდული და ელექტრომობილების იმპორტი/ლიზინგით გაცემა/რეალიზაცია/სერვისი;
- სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მანქანა-დანადგარების იმპორტი და მათი რეალიზაცია/ლიზინგით გაცემა.

3. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა;

2018 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

4. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ;

2018 წელს კომპანია წარმოდგენილია 3 ფილიალით საქართველოს 3 ქალაქში: ქუთაისი, ბათუმი, ფოთი.

ერთ-ერთ ყველაზე ძველ და პორტფელის მიხედვით პირველ ფილიალს წარმოადგენს ქუთაისში მდებარე ცენტრალური ფილიალი, სადაც გაყიდვების გარდა განთავსებულია სხვადასხვა დეპარტამენტები. ასევე ქუთაისში სს ჯეოკაპიტალის პირველ, ყოფილ ოფისში განთავსებულია ბუღალტერია და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტები.

5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ლარი):

		2018	2017	2016	კომენტარი
1	საპროცენტო შემოსავალი	2,902,799	4,853,307	7,521,017	2018 წელს კლება გამოწვეულია პორტფელის შემცირებით ეროვნული ბანკის მიერ შემოღებული რეგულაციების შედეგად.
2	საპროცენტო ხარჯი	946,634	1,180,679	1,544,080	2017-2018 წლებში პორტფელის კლების შედეგად გამოთავისუფლებული თანხებით დაიფარა ვალდებულებები, რაც აისახა საპროცენტო ხარჯების შემცირებაში.
3	წმინდა მოგება/ზარალი	-580,080	6,778	1,094,624	2017-2018 წლებში კლება ძირითადად გამოწვეულია პორტფელის შემცირებით.
4	მთლიანი აქტივები	8,945,245	10,922,467	16,668,289	2017-2018 წლებში აქტივების შემცირება გამოწვეულია ძირითადად პორტფელის შემცირებით.
5	ნასესხები სახსრები	6,324,274	7,950,351	12,492,357	პორტფელის კლების შედეგად

					გამოთავისუფლებული თანხებით 2017-2018 წლებში დაიფარა ვალდებულებები.
--	--	--	--	--	--

საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:

		2018	2017	2016	კომენტარი
1	პორტფელის მოცულობა (მილიონი ლარი)	7.1	8,4	15,9	კლება გამოწვეულია ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციებით.
2	აქტიური სესხების რაოდენობა	1,374	1,386	2,534	2016-2017 წლებში კლება გამოწვეულია ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული რეგულაციებით.
3	ფილიალების რაოდენობა	3	6	8	ქუთაისსა და ბათუმში მოხდა ფილიალების გაერთიანება 2017 წელს. 2018 წელს ოპტიმიზაციის შედეგად კომპანიის აქტივობების კონცენტრაცია მოხდა ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში.

6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა;

2018 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

7. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ;

2018 წელს კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილმა ზარალმა შეადგინა 103,540 ლარი (2017: 170,125 მოგება ლარში), რაც გამოწვეულია დოლარის გამყარებით ლართან მიმართებაში. კომპანია მუშაობს იმ მიმართულებით, რომ მოახდინოს პორტფელის და ასევე ნასესხების სახსრების სავალუტო დივერსიფიცირება და დგამს კონკრეტულ ნაბიჯებს ამ მიმართულებით.

სს ჯეოკაპიტალი ბაზარზე სარგებლობს მაღალი ნდობით, როგორც მსესხებლებთან, ასევე ინვესტორებთან. სესხის აღების დრო მინიმუმზეა დაყვანილი და გამარტივებულია პროცედურები, რაც დადებით შეფასებას იწვევს მომხმარებელში. ფილიალები მუშაობენ შაბათი დღის პირველ ნახევარშიც, რაც დამატებით კომფორტს უქმნის მსესხებლებს. კომპანია ზრუნავს ბრენდზე და მის მიართ დამოკიდებულებაზე: ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას ქუჩაზე საკუთარი ხარჯებით კაპიტალურად მოაწყო სკვერი - "GC Park". სს ჯეოკაპიტალი ასევე აქტიურად არის ჩართული ქველმოქმეებაში და სხვადასხვა აქტივობებში.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები;

	რისკების და გაურკვევლობების ახსნა	ხელმძღვანელების ქმედება
1	სავალუტო რისკი - 2017 წლამდე სასესხო პორტფელი და ნასესხები სახსრები წარმოდგენილი იყო უცხოურ ვალუტაში - დოლარში, რაც კომპანიას ძალიან სენსიტიურს ხდიდა ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ.	2017 წელს სეზ-ის რეგულაციების შემდეგ დაიწყო ზრუნვა ფულადი სახსრების ეროვნულ ვალუტაში მოსაძიებლად, შედეგად საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული იქნა 1,5 მილიონი ლარის რესურსი. პორტფელის კლების შედეგად გამონთავისუფლებული თანხით დაიფარა 1,8 მილიონი დოლარის ვალდებულება. დაიწყო თანხების ლარში გაცემა.
2	რეგიონებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.	კომპანია ახორციელებს არსებული თანამშრომლების ტრენინგს, აფინანსებს სწავლის საფასურს და ხელს უწყობს მათ განვითარებას. ქუთაისის გარდა, დამატებით თბილისში, ფუნქციონირებს ბექ-ოფისი, რაც კომპანიას ნაკლებ დამოკიდებულს ხდის რეგიონებში არსებულ კადრებზე.
3	ბაზარზე არსებული ჭარბი კონკურენცია.	კომპანია მაქსიმალურად ცდილობს გაამარტივოს პროცესები და თანხის გაცემა გახადოს სწრაფი და ხელმისაწვდომი. ახდენს პროდუქტის დივერსიფიცირებას და კონკურენციას უწევს ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთებს.
3	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემოღებული და დაანონსებული რეგულაციები.	კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად აკვირდება მიმდინარე პროცესებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. მოხდა პროდუქტის დივერსიფიცირება ახალი მიართულებით, დაიწყო თანხების ლარში გაცემა, შეჩერდა გრძელვადიანი სესხების გაცემა (უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი). კომპანია აქტიურად მუშაობს ბიზნესის ახალი მიმართულებით განვითარებისთვის.

ხელმოწერი პირი:



დირექტორი